

### კრესონი, ტაშისკარი და დმანისი: ცხენოსანთა შოკური შეტევა ქმედებაში

1187 წლის 1 მაისს ნაზარეთის მახლობლად, კრესონის წყაროებთან 130-მა ჯვაროსანმა რაინდმა მცირერიცხოვანი ქვეითების თანხლებით თავგანწირული იერიში მიიტანა მათზე 15-ჯერ აღმატებულ მონინალმდეგეზე. თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, მუსლიმებმა მაინც დაამარცხეს ისინი. სამოცდაათიოდე წლის შემდეგ, 1260 წლის დეკემბერში ტაშისკარის მიდამოებში სარგის ჯაყელის წინამბრძოლმა მათზე ოთხჯერ მეტ მონღოლს შეუტია. შედარებით უკეთესი თანაფარდობის პირობებში ჩატარებული ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. შედეგით გულმოცემულმა ქართველებმა შემდეგი იერიში უკვე მონინალმდეგის ძირითად ძალებზე მიიტანეს, მაგრამ, პირველი წარმატების შემდეგ, მაინც დაამარცხდნენ. სამი საუკუნის შემდგომ, 1583 წელს დელი სვიმონის მცირე რაზმმა 30-ჯერ მეტ მტერს თავისი მეფის მეტსახელის შესაფერი გახელებით შეუტია. ოსმალები ბენჯზე გადარჩნენ და მარცხებასა და სირცხვილს.

ყველა ამ საბრძოლო ეპიზოდს აერთიანებს შემტევი მხარის მიერ საკუთარი მცირერიცხოვნების აბსოლუტური უგულვებლყოფა და მონინალმდეგის მრავალრიცხოვნების არად ჩაგდება, იერიშის თავდაპირველი წარმატება და საბოლოო მარცხი. მაინც, რისი იმედი ჰქონდათ მცირერიცხოვან ჯვაროსან რაინდებსა თუ ქართველ მოყმეებს, იყო კი ეს თავიდანვე განწირული ტაქტიკური სვლა, რომელსაც წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორივე მხარის ტაქტიკას უნდა გადავხედოთ და ბრძოლის სტილის თავისებურებები გავითვალისწინოთ.

საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ევროპელი და ქართველი მებრძოლი ფლობდა ისეთ მძლავრ ტაქტიკურ იარაღს, როგორც იყო წაგრძელებული შუბით<sup>1</sup> განხორციელებული ცხენოსანთა შოკური დარტყმა. მძიმე ცხენოსანთა ასეთი შეტევის დროს მჭიდროდ დაწყობილი შუბგამართული რაზმები მონინალმდეგის საბრძოლო რიგებს ეჯახება, არღვევს მათ და შლის მტრის

<sup>1</sup> ამ დროს ცხენოსანს მკლავქვეშ შუბის ბოლო ჰქონდა უძრავად ამოღებული და, შედეგად, წინ „წაგრძელებული“ შუბი, მხედარი და ცხენი ერთად განაპირობებდა უძლიერესი დარტყმის ძალას (DeVries, *Medieval Military Technology*, გვ. 12). ასეთი დარტყმის დროს ადამიანისა და ცხენის ენერჯია შუბის წვერზეა კონცენტრირებული (France, *Technology and Success of the First Crusade*, გვ. 166). ბრძოლის ეს წესი XII საუკუნის შუახანებში ბატონდება ბრძოლის ველზე და ასე რჩება შუა საუკუნეების ბოლომდე (DeVries, *Medieval Military Technology*, გვ. 14).

წყობას. ეს შეტევა ისეთი შემზარავი სანახავი იყო, რომ ხშირად მონინაალმდეგე შეჯახებამდე გარბოდა ბრძოლის ველიდან.<sup>1</sup> ცხენოსანთა შოკური შეტევა შუა საუკუნეების არმიის ყველაზე მძლავრი იარაღი იყო.<sup>2</sup> როდესაც XIII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი (1226-83) წერს, რომ სირიისა და რუმის ძლევამოსილი მმართველები უფრო ხოცდნენ და გაურბოდნენ „ბრძოლაში ქართველთა მძვინვარებას“,<sup>3</sup> ეს „მძვინვარება“ სწორედ ბრძოლის სტილით იყო განპირობებული და ასოცირდებოდა შუბგამართულ მომქროლავ მხედართან, რომლის იერიში მართლაც რომ საზარელი იყო. წაგრძელებული შუბით შოკური შეტევა ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე: ასეთივე „მძვინვარე“ და „შეუჩერებელი“ ჩანდა ჯვაროსანთა შეტევა.<sup>4</sup>

გასაკვირი არ არის, რომ არმიები, რომელთა არსენალშიც ასეთი მძლავრი იარაღი იყო, არ ერიდებოდნენ ველზე ბრძოლას მრავალრიცხოვან მონინაალმდეგესთანაც. ჯვაროსნული ომების დროს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მცირერიცხოვანი ქრისტიანები თავს არ აფარებდნენ სიმაგრეს და კონტრშეტევით პასუხობდნენ მუსლიმთა იერიშს.<sup>5</sup> ასეთი შემთხვევები მრავლადაა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაშიც.<sup>6</sup>

მუსლიმური არმიები, რომელთა ბრძოლის წესი მომთაბარული ომის პრინციპებს ემყარებოდა, ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის სანინაალმდეგოდ მომთაბარულ ხერხსვე მიმართავდნენ: რაინდთა პირველი დარტყმის თავიდან ასარიდებლად იფანტებოდნენ, ისრის სროლით უკან იხევდნენ და თუ მონინაალმდეგე შეცდომას დაუშვებდა და ანგარიშშიუცემლად დაედევნებოდა, უკან უბრუნდებოდნენ დევნის პროცესში წყობადაშლილსა და დაღლილ მონინაალმდეგეს, რომლის დამარცხებაც უკვე ადვილი იყო.

ახლა დავუბრუნდეთ ზემოთმოყვანილ საბრძოლო ეპიზოდებს და განვიხილოთ ისინი წარმოდგენილი ტაქტიკური მოცემულობების ფონზე.

<sup>1</sup> White, *Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry*, გვ. 1-38; DeVries, *Medieval Military Technology*, გვ. 12.

<sup>2</sup> Smail, *Crusading Warfare*, გვ. 113-115; Marshall, *Warfare in the Latin East*, გვ. 158; მისივე, *The Use of the Charge*, გვ. 222.

<sup>3</sup> Ata Malik Juvaini, *Genghis Khan*, გვ. 449.

<sup>4</sup> Anna Komnene, *The Alexiad*, გვ. 378.

<sup>5</sup> Marshall, *Warfare in the Latin East*, გვ. 236.

<sup>6</sup> Tsurtssumia, *Medieval Georgian Poliorcetica*, გვ. 197-199.

## კრესონის ბრძოლა

1187 წლის 1 მაისს კრესონის წყაროებთან 130-მა ჯვაროსანმა რაინდმა და რამდენიმე ასეულმა ქვეითმა თვითმკვლევლობასთან გათანაბრებული ბრძოლა გაუმართა მრავალრიცხოვან მონინააღმდეგეს. ამ დროისათვის იერუსალიმის სამეფოს მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. ჯვაროსნებს უხდებოდათ დაპირისპირება სირიის, მესოპოტამიისა და ეგვიპტის გაერთიანებულ მუსლიმურ ერთეულთან, რომელსაც სათავეში სალაჰ ად-დინი ედგა. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ ბალდუინ V-ის გარდაცვალების (1186) შემდეგ სამეფოში დინასტიური კრიზისი გამწვავდა და ტრიპოლის გრაფის რაიმონდ III-ის მომხრეები არ ცნობდნენ მეფედ გი დე ლუზინიანს. ამ ვითარებაში სამეფოში შემოჭრილ მუსლიმებს წინ აღუდგა სასწრაფოდ შეყრილი ჯვაროსანთა მცირე რაზმი. მათ რიგებში იყო 80 ტამპლიერი რაინდი ორდენის მაგისტრის ჟერარ დე რიდფორის მეთაურობით, 10 ჰოსპიტალიერი მაგისტრ როჟე დე მულენთან ერთად, კიდევ 40 რაინდი ნაზარეთიდან<sup>1</sup> და 300 თუ 400 ქვეითი ჯარისკაცი.<sup>2</sup> მუსლიმთა რიცხვი, რომელთაც სალაჰ ად-დინის ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი, ედესის ამირა მუზაფარ ად-დინ გოკბორი მეთაურობდა, 7 ათასს აღწევდა.<sup>3</sup>

მრავალრიცხოვანი მონინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელად, ქრისტიანები იერიშზე გადავიდნენ. რაინდთა პირველი შოკური შეტევა წარმატებით წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ რიცხოვნობა უპირატესობამ თავისი გაიტანა: ქრისტიანები სასტიკად დამარცხდნენ, როჟე დე მულენი მოკლეს, მძიმედ დაჭრილმა ჟერარ დე რიდფორმა სამიოდე მხლებელთან ერთად ძლივს გააღწია ბრძოლის ველიდან.<sup>4</sup> მემატინეს ცნობით, „თურქები

<sup>1</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32.

<sup>2</sup> *The Conquest of the Holy Land by Salāh al-Dīn*, გვ. 118-119.

<sup>3</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *Chronicle of the Third Crusade*, გვ. 25; *The Conquest of the Holy Land by Salāh al-Dīn*, გვ. 112-113. ურბან III-ის (1185-87) წერილში, რომელიც კრესონის ბრძოლას აღწერს, 110 რაინდი და 6 ათასი მუსლიმია დასახელებული (*The Conquest of Jerusalem and the Third Crusade*, გვ. 156). დ. ნიკოლი უაღრესად გადაჭარბებულად მიიჩნევს ქრისტიანული წყაროების ამ ცნობებს მუსლიმთა ოდენობის შესახებ (Nicolle, *Hattin*, გვ. 57). ამავე დროს, ბრძოლის მიმდინარეობა და ქრისტიანთა სრული განადგურება მუსლიმთა სერიოზულ რიცხოვნობაზე უპირატესობაზე მიუთითებს.

<sup>4</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *The Conquest of the Holy Land by Salāh al-Dīn*, გვ. 120-123; William of Newburgh, *Historia Rerum Anglicarum*, გვ. 256. როჯერ ჰოუდენის მიხედვით, ბრძოლის ველზე დაეცა 60 ტამპლიერი, ჰოსპიტალიერთა მაგისტრსა და მის თანმხლებ ძმებთან ერთად (Roger of Howden, *Gesta Regis Henrici Secundi*, გვ. 10).

ვერ უძლებდნენ რაინდთა შეტევას“ და ჯვაროსნები საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დამარცხდნენ, როდესაც ყველა მხრიდან ალყაშემორტყმულებს, მათი შემზარავი იერიშის გახორციელების შესაძლებლობა წაერთვათ.<sup>1</sup> დ. ნიკოლი აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ, ჯვაროსანთა მიერ განხორციელებული შეტევა შეფასებულია როგორც „დამღუპველი თავდაჯერებულობა“, თუმცა მუსლიმური ქრონიკების მიხედვით, ამ იერიშს ცოტა დააკლდა წარმატებამდე.<sup>2</sup> დამახასიათებელია, რომ მუსლიმებმა ასეთ მცირერიცხოვან მტერთანაც კი აარიდეს პირისპირ ბრძოლას და ჩვეულებრივ ხერხით, გაქცევითა და უკან შემობრუნებით უპასუხეს ჯვაროსანთა მრისხანე იერიშს.

*Libellus de expugnatione Terrae Sanctae per Saladinum*-ის („მცირე წიგნი სალადინის მიერ წმინდა მიწის დაპყრობის შესახებ“) ანონიმი ავტორი დამარცხების მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მუსლიმებმა მოჩვენებითი უკანდახევით გააცალკევეს მხედრები ქვეითებისაგან და ცალ-ცალკე მოაქციეს ისინი ალყაში.<sup>3</sup> მაგრამ რ. სმელილი მართებულად მიუთითებს, რომ ქვეითები და ცხენოსნები ბუნებრივად შორდებიან ერთმანეთს წარმატებული შეტევის დროსაც, როდესაც ფეხოსანი უკან რჩება, ცხენოსანი კი იერიშში მიდის და რომ მხოლოდ დაცალკეება არ არის საკმარისი მიზეზი დამარცხების ასახსნელად. როგორც ჩანს, შეტევა მეტად არახელსაყრელ პირობებში ჩატარდა და მისი დროც არ იყო სწორად შერჩეული.<sup>4</sup>

მრავალი ქრონიკა მოგვითხრობს ტამპლიერ ჟაკ დე მაის გამირობაზე,<sup>5</sup> რომელიც თანამებრძოლთა დაღუპვის შემდეგაც ბოლომდე ებრძოდა მუსლიმებს, მისი ვაჟკაცობით გაცოცხლებული მტრის მოწყალე შეთავაზებაზე უარი თქვა, არ დანებდა და გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე.<sup>6</sup> კრესონთან მცირერიცხოვან ქრისტიან რაინდთა თავგანწირვა ლეგენდად იქცა, ისინი

<sup>1</sup> *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 120-121.

<sup>2</sup> Nicolle, *Hattin*, გვ. 57.

<sup>3</sup> *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 118-119.

<sup>4</sup> Smail, *Crusading Warfare*, გვ. 197.

<sup>5</sup> ზოგიერთ წყაროში ჟაკ დე მაი მოიხსენიება, როგორც ტამპლიერთა მარშალი (*The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 126-127). მიუხედავად ამისა, 1187 წელს ურბან III-ისა და ჰატინთან დამარცხების შემდეგ წმინდა მიწის ბარონების მიერ შედგენილი წერილებიდან ეჭვიმუტანლად ჩანს, რომ იმხანად ტამპლიერთა მარშალი რობერტ ფრეისნელი იყო, ჟაკ დე მაი კი ორდენის რიგით ძმად ირიცხებოდა (Burgdorf, *The Central Convent of Hospitallars and Templars*, გვ. 576-577).

<sup>6</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 126-129. როგორც მემატინან წერს, „ეს არ იყო დასანანი, არამედ საუცხოო სიკვდილი, როცა კაცმა მახვილით აიგო დიდებული გვირგვინი მის გარშემო დახოცილებით. სიკვდილი ტკბილია, როდესაც გამარჯვებული წევს მისი მარჯვენით მოკლულ ურჯულოებს შორის“ (*Chronicle of the Third Crusade*, გვ. 26).

მარტვილებად შერაცხეს და მათ მაგალითს ხშირად იყენებდნენ ჯვაროსანთა საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად.<sup>1</sup>

### ტაშისკარის ბრძოლა

მეორე ეპიზოდი უკვე ქართველთა წარსულიდანაა და მოხდა 1260 წელს, როდესაც მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული დავით VII სამცხეში გადავიდა. ილხან ჰულაგუს მიერ აჯანყების ჩასახშობად გამოგზავნილ 20 ათასიან მონღოლურ ლაშქარს არღუნ ნოინი ედგა სათავეში. მას შეუერთდა ქართველ დიდებულთა ნაწილი (ივანე შანშეს ძე მხარგრძელი, გრიგოლ სურამელი, კახა თორელი, და სხვ.) თავისი რაზმებით. მონღოლებს დაუპირისპირდა სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი-ციხისჯვარელი, რომელიც ქართველთა 8 ათასიან ლაშქარს მეთაურობდა. სურამიდან წამოსული არღუნი შინდარასთან დაბანაკდა, ხოლო მონღოლთა 6 ათას კაციანმა ავანგარდმა ტაშისკარს უწია. მათ უცაბედად გადაეყარა ქართველთა 1.500 კაციანი წინამბრძოლი, რომელმაც გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მტერი: „იყო ყინელი და ზამთარი, ვითარ წესი არს თუესა დეკემბრისასა. და განვიდეს სივინროისაგან წინა მავალნი, იხილნეს რაზმი თათართა, და წინა-განენყუნეს ქართველნიცა. და მყის ზედა-მიეტევენეს მესხნი, და პირველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი და მოსწყდნეს მრავალნი სახელოვანნი, და ესრეთ ძლიერად ბრძოდეს მესხნი, რომელ მცირედნიღა განერნეს და შეიხუენნეს რაზმსა შინა არღუნისსა შინდარას გორისასა, და სდევენეს და მოსწყდნეს პირითა მახკლისათა, რამეთუ მჴედართმთავარი სარგის და სპა მეფისა ვერღარა მოილოდინეს ამისთჳს, რომელ თათართა რაზმი მახლობელად მდგომარე იყო. და ესრეთ ძლევითა საჩინოთა შემოქცეულნი, მრავალთა სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი მოეგებნეს სარგისს და ლაშქართა...“<sup>2</sup>

ამ ეპიზოდს აღწერს კირაკოს განძაკელიც, რომლის მონათხრობი ძირითადად ემთხვევა ჟამთააღმწერლისას, განსხვავება მხოლოდ რიცხვებშია: კირაკოსის მიხედვით ქართველები 400 კაცს მოითვლიდნენ, ჟამთააღმწერელი კი 1.500-ს ასახელებს. სომეხი მემატიანის თანახმად, „მოულოდნელად გამოჩნდა ქართველ მხედართა რაზმი და დიდი სიმამაცე გამოიჩინა: არღუნის ჯარიდან მრავალი დაეცა, ლერწამის მსგავსად, რომელსაც ცეცხლი მოედება, თავად [ქართველები] კი უვნებლად შეიქცნენ. მათი რიცხვი ოთხასს

<sup>1</sup> Tyerman, *The Crusades*, გვ. 1-4.

<sup>2</sup> ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 123; ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მატიანე“, გვ. 584-585.

აღწევდა. შეშინდა არღუნი და ძველებურად თამამად ვეღარ გააგრძელა [და-  
ვით მეფის] ძებნა“.<sup>1</sup> კირაკოს განძაკელი მხატვრულად გადმოგვცემს მონ-  
ლოლთა უსუსურობას ქართველ მხედართა იერიშის წინაშე და ცეცხლმო-  
დებულ ლერწამს ადარებს მათ. ორივე ავტორი აღწერს იერიშს, რომელსაც  
მოყვა ერთი დაკვრით მონლოლთა დამარცხება, მათი რიგების გარღვევა და  
მუსრვა, შემდეგ კი ქართველთა უკან შექცევა. ცხადია, რომ ორივე მემატი-  
ანე ტიპურ შოკურ შეტევას აღწერს. ჩანს, ქართველებმა მონინაალმდევე  
ისეთ ადგილას მოიხელთეს, სადაც მას გაშლა და მომთაბარული ტაქტიკის  
გამოყენება არ შეეძლო და დიდი ზიანიც მიაყენეს.

გამარჯვებით გათამამებულმა ქართველებმა შეცდომა დაუშვეს და  
არღუნს ველზე შეუტიეს, სადაც მას სრული ტაქტიკური თავისუფლება  
ჰქონდა და შეეძლო მონლოლთა არსენალში მყოფი ყველა ხერხის გამოყენე-  
ბა. ბრძოლა ლოგიკურად დასრულდა, მრავალრიცხოვანმა მონინაალმდევემ,  
რომელსაც მხარს ქართველ ფეოდალთა რაზმებიც უმაგრებდნენ,<sup>2</sup> თავისი  
საყვარელი უკანდახვეისა და მონინაალმდევის შეტყუების გამოყენებით და-  
ამარცხა სარგისის ლაშქარი. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაშიც ქართველთა  
პირველი შეტევა მძლავრი და წარმატებული იყო: „ვითარ დაეახლნეს ურ-  
თიერთას, ზედა-მიეტევნეს მესხნი განლალებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი  
უპირველეს ყოველთასა მიუჭდა რაზმსა და უმწნესი მათი, ჩინ-ბაადური, ჰო-  
როლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა. და იქმნა ძლიერი ომი, და მრავალ-  
ნი მოისრვოდეს არღუნის სპისაგან და სივლტოლად მიდრკეს. პირველსავე  
მიჯრასა სძლევდეს სპანი მეფისანი, და ვითარ არს ჩუეულება თათართა  
ლტოლვა და გარეუკუნქცევა, ანაზდად გარეუკუნ-იქცეს. მაშინ სულმოკ-  
ლექმნულნი სპანი მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი და  
მიმოდაბნეულნი თათართა მიერ მოისრვოდეს“.<sup>3</sup> მოვლენების რეკონსტრუქ-  
ცია სირთულეს არ წარმოადგენს, სტეპის ბინადართა ტრადიციული ტაქტი-  
კის მიხედვით, მონლოლებმა მოჩვენებითი უკანდახვევა გაითამაშეს, შემდეგ  
წყობა-დაშლილ, უწესრიგოდ დადევნებულ ქართველებს შემოუტრიალდნენ  
და ადვილად დაამარცხეს ისინი.

თუკი პირველ ბრძოლაში ქართველებმა თავიანთი საუკეთესო იარაღი  
– ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა შესაფერის პირობებში გამოიყენეს და  
რიცხვმრავალი მტერიც დაამარცხეს, მეორე, ცუდად დაგეგმილ ბრძოლაში  
თავდაპირველი წარმატება გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და  
ისინი თავად გაეზნენ მონინაალმდევის ხაფანგში.

<sup>1</sup> Киракос Гандзакецци, *История Армении*, გვ. 234.

<sup>2</sup> ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 124; ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მა-  
ტიანე“, გვ. 585.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 124; იქვე, გვ. 585.

## დმანისის ბრძოლა

შემდგომ ეპიზოდზე შარაფ-ხან ბითლისი მოგვითხრობს, XVI საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიკოსი, რომელიც ირანის შაჰებსა და ოსმალეთის სულთნებს მსახურებდა და კარგად იცნობდა ორივე სახელმწიფოს შინაურ საქმეებს. 1578-90 წლებში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომში წარუმატებლობამ აიძულა სეფიანები გაეთავისუფლებინათ სვიმონ I, რომელმაც დაუცხრომელი ბრძოლით ქართლის უმთავრესი ნაწილი დაიბრუნა და მჭიდრო რკალში მოაქცია თბილისის ოსმალური გარნიზონი. თბილისის მომარაგება ოსმალებს მუდმივ თავის ტკივილად ექცათ. ფარსადან გორგიჯანიძე გვიამბობს, რომ სვიმონ მეფე „ქალაქისა და გორის ციხიდამ კაცს აღარ გამოუშვებდა, გზები შეუკრა. თუ არ დიდის ლაშქრით ნუზალისა და საჭმლისათვის კაცი ციხით ვერ გამოვიდოდა და საცა ურუმს ნახევდიან, მოჰკლევდიან“.<sup>1</sup> მდგომარეობას არც დიდი და მრავალრიცხოვანი ალაღის გაგზავნა ცვლიდა: 1582 წელს სვიმონ მეფემ მუხრანთან დიარბაქრის ბეგლარბეგი მოჰამედ-ფაშა დაამარცხა, მრავალი ჯარისკაცი დაუხოცა და თბილისის მოსამარაგებლად გამიზნული 40 საპალნე ოქრო და 2 ათასი საპალნე სხვა საქონელი წაართვა.<sup>2</sup>

1583 წელს ოსმალეთის სულთანმა მურად III-მ (1574-95) აღმოსავლეთში სარდლად ფერჰად-ფაშა დანიშნა. ფერჰადმა სირიის ბეგლარბეგი ჰასან-ფაშა ქურთისტანისა და რუმელიის ამირებთან ერთად გაგზავნა თბილისის ოსმალური გარნიზონის მოსამარაგებლად საჭურველითა და სანოვაგით, რაც, შარაფ-ხან ბითლისის მოწმობით, „იმ ხანებში მეტად საძნელო საქმე იყო“.<sup>3</sup>

თბილისისაკენ მიმავალ ოსმალთა ალაღს თავს ქართველები დაესხნენ, რომელთაც თან მცირეოდენი ყიზილბაშებიც ახლდათ. ეს ამბავი მოპირდაპირე ბანაკში მყოფი თვითმხილველის მიერ არის აღწერილი, რაც მას კიდევ უფრო მეტ ღირსებას ანიჭებს, როგორც ქართველთა ტაქტიკური სიძლიერის პირუთვნელ მოწმობას. მოვუსმინოთ შარაფ-ხანს: „ამ სიტყვების ავტორი ამ ლაშქრობაში თავად მონაწილეობდა. დმანისის (ტუმანისის) ხეობაში ქართველი ურწმუნოები და რამდენიმე ყიზილბაში ამირა ისლამის ჯარს ჩაუსაფრდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლევამოსილ ლაშქარში 15 ათას მხედარზე მეტი იყო, ხოლო ურჯულთა რიცხვი 500-საც არ აღწევდა, დასაწყის-

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია*, გვ. 220; ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, გვ. 279.

<sup>2</sup> Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*, გვ. 241.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 245.

ში ისლამის ლაშქარი დამარცხდა. მაგრამ ბოლოს, ჰასან-ფაშას სიმტკიცის წყალობით, რომელიც მცირერიცხოვან მეომრებთან ერთად მტკიცედ იდგა ურჯულოებით გარემოცული, ისლამის ლაშქარმა მშვიდობით დააღწია თავი დაღუპვის მორევს“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, შარაფ-ხან ბითლისი პატიოსნად მოგვითხრობს 1583 წელს დმანისთან მომხდარი ბრძოლის შესახებ, სადაც ხუთასიოდე ქართველი 15 ათას ოსმალს უტევს, რომლებიც ძლივს გადარჩებიან დამარცხებას. სახეზეა კრესონის წყაროებთან ბრძოლის ანალოგი: იგივე მძვინვარება, აგრესიულობა და მეტოქის მრავალრიცხოვნების არად ჩაგდება. ასეთი ეფექტი მხოლოდ ცხენოსანთა შოკურ შეტევას შეეძლო ჰქონოდა.<sup>2</sup> ალბათ, ოსმალთა რიცხოვნებაში გარკვეული კორექტივია შესატანი: გასათვალისწინებელია, რომ მათი ალალი თბილისს მიემართებოდა, ყველა მათგანი მეზობლი ვერ იქნებოდა და ბევრი დამხმარე და მესაპალნეც ეყოლებოდათ. ისიც გასაგებია, რომ ქართველთა დარტყმა გზაზე განელილი ალალის ერთ უბანზე იქნებოდა კონცენტრირებული. ყველაფერი ამის მიუხედავად, თავად ის ფაქტი, რომ მცირერიცხოვანმა რაზმმა მასზე ბევრად მრავალრიცხოვან ჯარზე თავდასხმა გაბედა და კინალამ წარმატებასაც მიაღწია, ერთმნიშვნელოვნად მოწმობს იმას, რომ ქართველები გრძნობდნენ თავიანთ უპირატესობას ხელჩართულ ბრძოლაში და უნარიანი ხელმძღვანელის მეთაურობით ტაქტიკური საოცრებებიც შეეძლოთ მოეხდინათ.

ყოველთვის და ყველა მონინაალმდეგესთან, ქართველ მეზობლს ახასიათებდა ინდივიდუალური თავდაჯერებულობა და თავისი ტაქტიკის უპირატესობის ღრმა რწმენა.<sup>3</sup> ამ უპირატესობის შეგრძნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობლის ფსიქოლოგიისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქართული სამეფო-სამთავროები დაღმავლობის გზაზე იდგნენ. უმძიმეს ვითარებაშიც კი, როდესაც მონინაალმდეგის რიცხოზრვი თუ ტექ-

<sup>1</sup> იქვე. შდრ. ტაბატაძე, *შერეფ-ხან ბითლისის ცნობები*, გვ. 185-186.

<sup>2</sup> ამ შეტევაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად სვიმონ მეფის მიერ 1599 წელს ოსმალებთან გამართული ნახიდურის ბრძოლა გამოგვადგება. ქართველი მემკვიდრე ასე აღწერს სვიმონ I-ის იერიშს ოსმალებზე: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი შუბდაგრძელებულნი ცხენჭენებით მიეტივნეს ანაზდეულ, ვითაც ჩქაფის წვიმა სეტყვის ღვარნი მთისგან. გაპეს რაზმი ურუმთა და გარდმოყარეს მრავალნი და გაიარეს შიგა ყველამ... ურუმნი გაკვირვებულ იყვნენ ამათს მამაცობასა, რომ ვისაც გარდმოაგდებდენ, გასცილდიან სხვაზედ და თითოს ქართველს ოთხი თუ ხუთი ურუმი ცხენიდან გარდმოეგდო...“ (ფარსადან გორგიჯანიძე, *„ისტორია“*, გვ. 223; ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, გვ. 283).

<sup>3</sup> გავისხენოთ გიორგი სააკაძის „ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებნო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, *„ისტორია“*, გვ. 234; ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, გვ. 297).



ნოლოგიური უპირატესობა აშკარა იყო და დღის წესრიგში ქართული სახელმწიფოებრიობის ბედი იდგა, ქართველ სარდლებს ყოველთვის შეეძლოთ დაყრდნობოდნენ თავიანთ მებრძოლთა საუკუნეების მანძილზე განმტკიცებულ ტაქტიკურ ჩვევებსა და საბრძოლო თვისებებს.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მათიანე** – ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მათიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1987.

**ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მათიანე“** – ჟამთააღმწერელი, *„ასწლოვანი მათიანე“*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, *ქართლის ცხოვრება*, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2008.

**ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები** – ტაბატაძე კ., *შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ*, პაპაძე, II, 1962, გვ. 159-188.

**ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია** – ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია*, სმ, II, 1925.

**ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება** – ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 2022.

**Anna Komnene, The Alexiad** – Anna Komnene, *The Alexiad*, trans. E. R. A. Sewter, revised by P. Frankopan, London, 2009.

**Ata Malik Juvaini, Genghis Khan** – Ata Malik Juvaini, *Genghis Khan: The History of the World Conqueror*, trans. and ed. J. A. Boyle, Seattle, 1997.

**Burgtorf, The Central Convent of Hospitallers and Templars** – Burgtorf J., *The Central Convent of Hospitallers and Templars: History, Organization, and Personnel (1099/1120–1310)*, Leiden, 2008.

**The Conquest of Jerusalem and the Third Crusade** – *The Conquest of Jerusalem and the Third Crusade: Sources in Translation*, by P. W. Edbury, Aldershot, 1998.

**The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn** – *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn: A Critical Edition and Translation of the Anonymous Libellus de expugnatione Terrae Sanctae per Saladinum*, by K. Brewer and J. H. Kane, London, 2019.

**Chronicle of the Third Crusade** – *Chronicle of the Third Crusade: A Translation of the Itinerarium Peregrinorum et Gesta Regis Ricardi*, by H. J. Nicholson, Aldershot, 1997.

**DeVries, Medieval Military Technology** – DeVries K., *Medieval Military Technology*, Peterborough, 1992.

- France, *Technology and Success of the First Crusade*** – France J., *Technology and Success of the First Crusade*, in “War and Society in the Eastern Mediterranean, 7<sup>th</sup>-15<sup>th</sup> Centuries”, ed. Y. Lev, Leiden, 1996, 33. 163-176.
- Marshall, *The Use of the Charge*** – Marshall Ch., *The Use of the Charge in Battles in the Latin East, 1192-1291*, “Historical Research”, 65, 1992, 33. 221-226.
- Marshall, *Warfare in the Latin East*** – Marshall Ch., *Warfare in the Latin East, 1192-1291*, Cambridge, 1992.
- Nicolle, *Hattin*** – Nicolle D., *Hattin, 1187: Saladin’s Greatest Victory*, Oxford, 1993.
- The Old French Continuation of William of Tyre*** – *The Old French Continuation of William of Tyre, 1184-97*, in “The Conquest of Jerusalem and the Third Crusade: Sources in Translation”, by P. W. Edbury, Aldershot, 1998.
- Roger of Howden, *Gesta Regis Henrici Secundi*** – Roger of Howden, *Gesta Regis Henrici Secundi benedicti abbatis*, ed. by W. Stubbs, vol. 2, London, 1867.
- Smail, *Crusading Warfare*** – Smail R. C., *Crusading Warfare, 1097-1193*, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge, 1995.
- Tsurtsumia, *Medieval Georgian Poliorcetica*** – Tsurtsumia M., *Medieval Georgian Poliorcetica*, “Historia i Świat”, 4, 2015, 33. 175-204.
- Tyerman, *The Crusades*** – Tyerman Ch., *The Crusades*, New York, 2007.
- White, *Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry*** – White L., *Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry*, ԳՕԳԾԹ: ԹՈՆՕՅԳ, *Medieval Technology and Social Change*, London, 1962, 33. 1-38.
- William of Newburgh, *Historia Rerum Anglicarum*** – William of Newburgh, *Historia Rerum Anglicarum*, ed. by R. Howlett, vol. 1, London, 1884.
- Киракос Гандзакечи, *История Армении*** – Киракос Гандзакечи, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, Москва, 1976.
- Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*** – Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*, перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, т. 2, Москва, 1976.

**Cresson, Tashisk'ari and Dmanisi:  
the Effectiveness of Mounted Shock Combat**

Summary

The present paper discusses the effectiveness of mounted shock combat through the analysis of three battles. On May 1, 1187, near Nazareth, at the springs of Cresson, 130 crusader knights, accompanied by a small number of infantry, launched a fierce attack against an adversary 15 times their size. Despite their initial success, they were eventually defeated by the Muslims. In December 1260, Sargis Jaq'eli's vanguard attacked a force of Mongols four times larger than their own in the vicinity of Tashisk'ari, resulting in a victorious outcome. Subsequently, the Georgians attacked the main body of the opponent, but after the initial success, they were defeated. Three centuries later, in 1583, a small detachment of Georgians launched a furious attack against an enemy force 30 times larger. The Ottomans barely survived the defeat.

All of these battles share common characteristics: an absolute disregard for the attackers' numerical minority, initial success in the attack, and ultimate defeat. Did the attacking side have any chance of success, or was it a doomed tactical move from the outset? To answer this question, we must examine the tactics employed by both sides. Medieval European and Georgian warriors possessed a powerful tactical weapon known as mounted shock combat, executed with a couched lance. This type of attack was so formidable that often the opponent fled the battlefield before the actual battle commenced. The mounted shock combat was the most powerful weapon of the medieval army. Therefore, it is not surprising that armies proficient in this tactic did not shy away from engaging numerically superior opponents.